საქართველოს მთავრობის

განკარგულება №655

2022 წლის 12 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის №67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის №67 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოში COVID-19-ის ვაქცინაციის განხორციელების ეროვნული გეგმა 2022 წლისთვის“.“;

ბ) განკარგულებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი